ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №26

ქ. დმანისი 2021 წელი

ერთის მხრივ **დმანისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ტატუაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „უძრავ-მოძრავი ქონების შემფასებელთა ჯგუფი-777"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის **ოთარ ჩიხლაძის** სახით, საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შეასბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებულ გარე განათების 339 ცალ გარე განათების ბოძებზე, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზინით, მიწის ზედაპირიდან 4 მეტრ სიმაღლეზე, წერტილის საიჯარო ქირის (წლიური) განსაზღვრის შესახებ სათანადო აუდიტორული დასკვნების შედგენა.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (დმანისის მუნიციპალიტეტის საზაფხულო საძოვრები: კონტური №31 „ქვემო აგრიკალი", ს/კ 82.17.42.032; კონტური №40, ს/კ 82.17.42.008; კონტური №40 „ქვემო აგრიკალი", ს/კ 82.17.42.028; სოფელი დაგარახლო ს/კ 82.08.44.304; სოფელი ვაკე ს/კ 82.18.42.346; სოფელი ვაკე ს/კ 82.18.42.347; რაიონი დმანისი, საზაფხულო საძოვრები, კონტური №12, ს/კ 82.17.41.017; რაიონი დმანისი, საზაფხულო საძოვრ ები, კონტური №6, ს/კ 82.17.41.011; დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ.ქვემო ოროზმანი, ს/კ 82.17.42.133,დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ.ირგანჩაი, ს/კ 82.03.41.450; დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ.ირგანჩაი, ს/კ 82.03.41.451) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საბაზრო-საიჯარო (სავარაუდო) საორიენტაციო ქირის ღირებულების განსაზღვრის შესახებ სათანადო აუდიტორული დასკვნების შედგენა.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ ახაში მდებარე სასოფლო სამეურნეო (სათიბი) დანიშნულე ბის მიწის ნაკვეთების (ს.კ.№82.07.42.356) 48 085.0 კვ.მ.; (ს.კ.№82.07.43.265) 100 874.0 კვ.მ.; (ს.კ. № 82.07.42.378) 720 984.0 კვ.მ.; (ს.კ.№82.07.42.381) 110 074.0 კვ.მ.; (ს.კ.№82.07.42.379) 883.00 კვ.მ.; (ს.კ.№82.07.42.388) 9 768.0 კვ.მ.; (ს.კ.82.07.42.027) 1 000 000,0 კვმ მიწის ნაკვეთების და სოფელ ველისპირში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სათიბი) (ს.კ.№82.06.43. 111) 184 145.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი საბაზრო საიჯარო (სავარაუდო) საორიენტაციო ქირის ოდენობისა და საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის შესახებ სათანადო აუდიტორული დასკვნების შედგენა (PV-79200000, 79212000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1000 (ერთი ათასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) სამუშო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერაზე უფლებამოსილი ***დმანისის მუნიციპალიტეის მერიის ეკონომიკური სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯონი სიმონიშვილი.***

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების დადების თარიღიდან და დაასრულებს 2021 წლის 12 მარტის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.**შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.2. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1 .ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეის მერიის ეკონომიკური სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯონი სიმონიშვილი.

9.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

15. რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
დმანისის მუნიციპალიტეტი მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41 საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53 დმანისის მუნიციპალიტეტის მერი ---------- **გიორგი ტატუაშვილი**	შპს „უძრავ-მოძრავი ქონების შემფასებელთა ჯგუფი-777“ მის.: ქ. თბილისის, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №51/31 საიდენტიფიკაცო კოდი:20524 8276 საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCGE22 ანგარიშის ნომერი: GE11TB0760836080100001 ტელ.: 5(68) 43 49 12 შპს „უძრავ-მოძრავი ქონების შემფასებელთა ჯგუფი-777“-ის დირექტორი ---------- **ოთარ ჩიხლაძე**

DMANISI MUNICIPALITY

Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY
Date: 2021.02.23 16:05:30 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დმანისი **2021 წელი**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ 2021 წლის №26 ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი _____ **გიორგი ტატუაშვილი**

ეკონომიკური სამსახურის

პირველადი სტრუქტურული ერთ.ხელმძღვანელი Joni Simonishvili Digitally signed by Joni Simonishvili Date: 2021.02.26 10:58:59 +04'00' **ჯონი სიმონიშვილი**